დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 9

ქ. დმანისი 08 სექტემბერი 2026 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. ოლეგი გოშუანი
4. სოფიო ასლამაზაშვილი
5. ლერი ბერუაშვილი
6. მურაზი აბრამიშვილი
7. მაკა ოკმელაშვილი
8. მაკა ასლანიშვილი
9. გიორგი გურჩიანი
10. აიდინ შარიფოვი
11. ნოდარი ადუაშვილი
12. დავით დაუთაშვილი
13. სტამბულ ისაევი
14. ქამრან მამედოვი
15. ლომა გადრანი
16. ლია კავლელაშვილი
17. მიხეილ დაუთაშვილი
18. შალვა ღამბარაშვილი
19. შოთა აკობაშვილი
20. გამლეტ ისმაილოვი
21. თეიმურაზ მენაბდიშვილი
22. ირაკლი მუჯირიშვილი
23. გოჩა გოჩაძე
24. ალექსანდრე ნონიაშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა : მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი, მერიის იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი გიორგი გრიგალაშვილი, მერიის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ლევან მანთაშაშვილი, საკრებულოს აპარატის უფროსი თინათინ ციხელაშვილი.
სხდომის მდივანი: ტარიელ პაკელიანი

სხდომა დაიწყო: 12. 00
სხდომა დასრულდა: 12. 25
სხდომის თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელსაც ერთხმად დაუჭირეს მხარი და მიმართა მომხსენებლებს გაეცნოთ საკითხები

დღის წესრიგი

1	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**
2	**განკარგულება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საწვავის ხარჯის ყოველთვიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 12 ნოემბრის N:გ-109.109253165 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**ს.ასლამაზაშვილი**
3	**განკარგულება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის Nგ-109.109253582 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**გ.გრიგალაშვილი**
4	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის/გეგმის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 23 იანვრის Nგ-109.109260236 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**ლ.ბერუაშვილი**
5	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (ფართი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ
მომხსენებელი:	**ლ.ბერუაშვილი**

1. მომხსენებელმა: თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1) საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის #2260-3 „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტს გამოეყო **21,0** ათასი ლარი, რაც დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 10 აგვისტოს #108. 10826222111 ბრძანების შესაბამისად აისახოს დმანისის

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის „შემოსულობები“-ს „მიზნობრივ ტრანსფერი“-ს მუხლში და შესაბამისად „გადასახდელები“-ს ორგანიზაციული კოდი **04_03** „საჯარო სკოლების დაფინანსება“-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლში. აღნიშნული მუხლი ნაცვლად 651,0 ათასი ლარისა, განისაზღვროს 672,0 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);

2) საქართველოს მთავრობის 2026 წლის 18 აგვისტოს #1895 “მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 30 აპრილის #878 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტს გამოეყო 407,8 ათასი ლარი, რომელიც აისახოს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის „შემოსულობები“-ს „კაპიტალურ ტრანსფერი“-ს მუხლში და შესაბამისად „გადასახდელები“-ს ორგანიზაციული კოდი 02_05_01 „საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში. აღნიშნული მუხლი ნაცვლად 109,8 ათასი ლარისა, განისაზღვროს 517,6 ათასი ლარით (სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი);

3) ა(ა)იპ „დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“-ს 2026 წლის 04 აგვისტოს #31-1082621644 წერილის და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 06 აგვისტოს #108. 108262189 ბრძანების საფუძველზე, ორგანიზაციული კოდი **05_02_01** ა(ა)იპ „დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“-ს „სუბსიდიები“-ს მუხლიდან, ამავე კოდის „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში გადატანილ იქნეს **0,9** ათასი ლარი. აღნიშნული მუხლი ნაცვლად 7,0 ათასი ლარისა, განისაზღვროს 7,9 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

4) დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის 2026 წლის 03 სექტემბრის #05-1082624624 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში წარმოქმნილია ჭარბი შემოსავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრებაში არსებული:

- არასასოფლო - სამეურნეო მიწის გაყიდვიდან, თანხით 120,0 ათასი ლარი;
- სასოფლო - სამეურნეო მიწის გაყიდვიდან, თანხით 30,0 ათასი ლარი;

აღნიშნული თანხები, ჯამში **150,0** ათასი ლარი, აისახოს დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის „შემოსულობები“-ს „არაფინანსური აქტივების კლება“-ს „მიწა“-ს მუხლში და შესაბამისად „გადასახდელებში“ გადანაწილდეს შემდეგნაირად:

- ორგანიზაციული კოდი **01_02_01** „ სარეზერვო ფონდი “-ს „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლი გაიზარდოს **50,0** ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 200,0 ათასი ლარის განისაზღვროს 250,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);
- ორგანიზაციული კოდი 06_02_03 „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონალური, ამბულატორიული დახმარების მუნიციპალური

პროგრამა“-ს „სოციალური უზრუნველყოფა“-ს მუხლი გაიზარდოს 100,0 ათასი ლარით და აღნიშნული მუხლი ნაცვლად 1.310,0 ათასი ლარის განისაზღვროს 1.410,0 ათასი ლარით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე);

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვროს **38 598,3** ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

მომხრე: 23

წინაღმდეგი: 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

2. მომხსენებელმა: სოფიო ასლამაზაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საწვავის ხარჯის ყოველთვიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 12 ნოემბრის N:გ-109.109253165 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

შევიდეს ცვლილება „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საწვავის ხარჯის ყოველთვიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 12 ნოემბრის N:გ-109.109253165 განკარგულებაში და საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილის აიდინ შარიფოვის 2026 წლის 31 აგვისტოს განცხადების შესაბამისად, მისი კუთვნილი საწვავის ტიპი ბენზინი - პრემიუმი შეიცვალოს საწვავის ტიპით დიზელი - ევროდიზელი. შესაბამისად, განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებულ ცხრილში თანამდებობის პირთა რაოდენობა მე-7 და მე-8 გრაფებში შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს ცხრილის შესაბამისად:

N	თანამდებობის დასახელება	თანამდებობის პირთა რაოდენობა	საწვავის ტიპი	საწვავის ოდენობა (ლიტრი)
1	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	ბენზინი - პრემიუმი	300
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1	დიზელი-ევროდიზელი	300
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1	ბენზინი - პრემიუმი	300
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	4	ბენზინი - პრემიუმი	200

5	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	1	დიზელი-ევროდიზელი	200
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2	ბენზინი - პრემიუმი	200
7	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	6	ბენზინი - პრემიუმი	150
8	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	2	დიზელი-ევროდიზელი	150

აზრი გამოთქვეს:
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი
მომხრე: 23
წინააღმდეგი: 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

3. მომხსენებელმა: გიორგი გრიგალაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №-109.109253582 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

შევიდეს ცვლილება „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის სოციალური ქვეპროგრამების დამტკიცების და განხორციელების წესების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №-109.109253582 განკარგულების „ლ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი მარტოხელა პირების და ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამაში, (პროგრამული კოდი 06 02 01 11)“ დანართი N11-ში. კერძოდ, შესყიდვების განმახორციელებელ ორგანოდ განისაზღვროს მერიის „შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამსახური“ ნაცვლად მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილებისა. ბავშვიანი ოჯახებისათვის თუ ადრე ყველა ტიპის ნივთის შეძენა ხდებოდა მხოლოდ შესყიდვების პროცედურებით, ცვლილებით განისაზღვროს, რომ საყოფაცხოვრებო ტექნიკის შესყიდვას კვლავ უზრუნველყოს შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამსახური, ხოლო ჰიგიენური საშუალებების, სასკოლო ტანსაცმლისა და სხვა პირველადი საჭიროების ნივთების შეძენა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც შესყიდვის პროცედურებით, ისე კანონიერი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით. მარტოხელა პირებისათვის დაკონკრეტდეს, რომ პირველადი საჭიროების ნივთები მოიცავს საყოფაცხოვრებო ტექნიკასა და ავეჯს. ტექნიკის შესყიდვას განაახორციელოს შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამსახურმა, ხოლო ტექნიკის/ავეჯის გარდა სხვა პირველადი საჭიროების ნივთებით დახმარება გაიცეს როგორც შესყიდვის პროცედურებით, ასევე კანონიერი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშზე თანხის

ჩარიცხვის გზით. სოციალური დახმარების ადმინისტრირებისა და ახალი ფინანსური მექანიზმების (საბანკო გადარიცხვა) დანერგვასთან დაკავშირებით, სავალდებულო წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს დაემატოს ახალი პუნქტი: კანონიერი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები (იმ შემთხვევაში, თუ დახმარება გაიცემა თანხის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით).

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 23

წინაღმდეგი: 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

4. მომხსენებელმა: ლერი ბერუაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის/გეგმის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 23 იანვრის Nგ-109.109260236 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

შევიდეს ცვლილება ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის/გეგმის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 23 იანვრის Nგ-109.109260236 განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით დანართის შესაბამისად (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 23

წინაღმდეგი: 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

5. მომხსენებელმა: ლერი ბერუაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (ფართი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. დმანისში წმინდა ნინოს ქ. N41-ში მდებარე შენობის (ს.კ 82.01.42.021) პირველ სართულზე არსებული ორი ოთახი 37,23 კვ.მ, 2 (ორი) წლის ვადით ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს".

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

მომხრე: 1

წინაღმდეგი: 1 - ალექსანდრე ნონიაშვილი

პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს აცნობა საქართველოს პრემიერ მინისტრის ინიციატივის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში გამოცხადებული სტაჟირების კონკურსის გამოცხადების შესახებ, განმარტა აღნიშნული კონკურსის მნიშვნელობა და როლი ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობის კუთხით და მოუწოდა საკრებულოს წევრებს მონაწილეობა მიიღონ სტაჟირების კონკურსის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი ტარიელ პაკელიანი